საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე

მწვანე ნარგავების შესწავლის თარიღი:	02. 12. 2023 წ
დასკვნის გაცემის თარიღი:	07. 12. 2023 წ
დასკვნის რეგისტრაციის ნომერი:	N 001/120-ვ

ფართობი (კვმ)	729.00
საკადასტრო კოდი N	01.12.07.017.015
მისამართი:	ქალაქი თბილისი, ქუჩა ლიახვი, N 25
მესაკუთრე:	შპს „რონიკო“ ID ნომერი:203836974
საფუძველი:	საქართველოს კანონი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილება საქართველოს „წითელი წუსხის“ დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ბრძანება ხილკენკროვანი ხემცენარეების წუსხის დამტკიცების და მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილ პირად დავით დიღმელაშვილის რეგისტრაციის თაობაზე (ბრძ. N 5-55 14. 09. 2017წ)

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა	35
შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობა	35
კვლევის ჩატარების მეთოდი	ვიზუალური

ხმობადი და დაავადებული მწვანე ნარგავების შემთხვევაში გრაფაში მდგომარეობა აღნიშნულია (ხმობადი ან დაავადებული იხ. ცხრილი N 1) და დასკვნას დანართი N 1-ის სახით ერთვის ლაბორატორიული კვლევის ამსახველი დოკუმენტი.

ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში გრაფაში მდგომარეობა იწერება ჯანსაღი და გრაფაში შენიშვნა აღნიშნულია ექსპერტის რეკომენდაცია ხე-მცენარის გადარგვის შესაძლებლობის თაობაზე. იხ. ცხრილი N 1

მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფოტო-მასალა თან ერთვის დანართი N 2 (CD დისკზე).

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის, დიამეტრის (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების შესახებ

ცხრილი N 1

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	ჯგუფები 1სმ-დან-4სმ-მდე ცალი	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	44.6		6.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
2	კოლხური ბზა (Buxus colchica)		3	2.5	ჯანსაღი	ჯგუფში 3 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
3	კოლხური ბზა (Buxus colchica)	11.1		2.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
4	კოლხური ბზა (Buxus colchica)	22.6		2.5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
5	ხურმა (Diospyros lotus)	32.5		9.5	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა მაღალი
6	მსხალი (Pyrus)	63.4		10.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
7	ლეღვი (Ficus carica)	26.1		4	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, გადაჭრილი 2 მ-ზე, მთავარი ღერო დაზიანებული, ბეტონში ამოსული
8	შინდი (cornus mas l.)	31.2		4.3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ორკაპი, ბეტონში ამოსული
9	მუშმალა (Eriobothrja japolica)	12.7		5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, სურო შემოხვეული
10	კარალიოკი (Diospyros kaki)	29.3		9	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

11	ქლიავი (Prunus domestica)	9.9		5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
12	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	54.1		6.5	ზეხმელი	სურო შემოხვეული, ხილ-კენკროვანი
13	ხურმა (Diospyros lotus)	31.2		9.5	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა მაღალი
14	დაფნა (Laurus nobilis)	17.5		4.2	ჯანსაღი	სამკაპი, ცალი კაპი მოჭრილი, ბეტონის კედელში ამოსული
15	ჭერამი (Prunus armeniaca)	19.4		5.5	ჯანსაღი	სურო შემოხვეული, ხილ-კენკროვანი
16	კაკლის ხე (Juglans regia)	66.9		10.5	ჯანსაღი	სურო შემოხვეული, გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო
17	დაფნა (Laurus nobilis)	40.8		5.8	ჯანსაღი	გადარგვა შესაძლებელია ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გახარების ალბათობა საშუალო, მრავალღეროიანი
18	ალუბალი (Prunus cerasus)		4	1.5	ჯანსაღი	ჯგუფში 4 ერთეული, ხილ-კენკროვანი
19	თხილი (Corylus avellana)		24	3.5	ჯანსაღი	ჯგუფში 24 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
20	ბროწეული (Punica granatum)	14.3		5.5	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება,

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

						იხ.ლაბორატორიული დასკვნა
21	ქლიავი (Prunus domestica)	6.1		2.3	ჯანსაღი	სურო შემოხვეული, ხილ-კენკროვანი
22	ბალი (Prunus avium)	25.2		7	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი, სურო შემოხვეული
23	დაფნა (Laurus nobilis)	12.1		3	ჯანსაღი	ორკაპი, შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
24	ბალი (Prunus avium)	16.2		7	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, სურო შემოხვეული
25	ბროწეული (Punica granatum)	46.2		6	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, მრავალღეროიანი, სურო შემოხვეული
26	ბროწეული (Punica granatum)	27.7		7.3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, სურო შემოხვეული
27	კომში (Cydonia)	29.6		6	ჯანსაღი	სურო შემოხვეული, ხილ-კენკროვანი
28	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	36.0		8.5	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, იხ.ლაბორატორიული დასკვნა
29	შინდი (cornus mas l.)	4.5		3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
30	ქლიავი (Prunus domestica)	47.1		7.5	ჯანსაღი	სურო შემოხვეული, ხილ-კენკროვანი
31	ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo)	5.1		6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
32	ალუბალი (Prunus cerasus)	2.9		2.1	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
33	კარალიოკი (Diospyros kaki)	24.8		8	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
34	წყავი (Prúnus laurocérasus)	20.1		5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, გახარების ალბათობა მაღალი
35	ჭერამი (Prunus armeniaca)	24.5		6.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი

ტერიტორიაზე განთავსებული 35 ნომერი ხე–მცენარის ნუსხა სახეობების მიხედვით

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

თანდართული გადარგვის პროექტის განხორციელების საფუძველზე ხე-მცენარეები, რომელთაც ცხრილი N 1-ში შენიშვნის სახით უწერია შესაძლებელია გადარგვა და შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით გადარგვის შემდგომ ექვემდებარება გადარჩენას

ჯგუფებად მდგომი ხე-მცენარე 3 ნომერი, მათ შორის
საქართველოს წითელ წუსხაში შეტანილი სახეობის ხე - კოლხური ბზა;
ხილ-კენკროვანი სახეობის - ალუბალი;
ბუჩქოვანი - თხილი.
კერძოდ:
N 2 ჯგუფში 3 ერთეული კოლხური ბზა (Buxus colchica);
N 18 ჯგუფში 4 ერთეული ალუბალი (Prunus cerasus) ;
N 19 ჯგუფში 24 ერთეული თხილი (Corylus avellana).

ერთეულად მდგომი მცენარეებია 32 ძირი, მათ შორის ხე 31 ძირი და ბუჩქი 1 ძირი, კერძოდ:

1. *საქართველოს წითელ წუსხაში შეტანილი სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე* 8 ძირი:
   - 2 ძირი (N 3, N 4) კოლხური ბზა - Buxus colchica;
   - 2 ძირი (N 5, N 13) ხურმა - Diospyros lotus;
   - 3 ძირი (N 14, N 17, N 23) დაფნა - Laurus nobilis;
   - 1 ძირი (N 16) კაკლის ხე - Juglans regia.

2. *დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე* 1 ძირი:
   - 1 ძირი (N 31) ამერიკული ნეკერჩხალი - Acer negundo.

3. *ბუჩქოვანი და ხვიარა სახეობათა ჯგუფის ხე–მცენარე* 1 ძირი:
   - 1 ძირი (N 34) წყავი - Prúnus laurocérasus.

4. *ხილ-კენკროვანი სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე* 22 ძირი:
   აქედან 12სმ-ზე ნაკლები დიამეტრისაა 4 ძირი:
   - 2 ძირი (N 11, N 21) ქლიავი - Prunus domestica;
   - 1 ძირი (N 29) შინდი - cornus mas l;
   - 1 ძირი (N 32) ალუბალი - Prunus cerasus.

   12სმ-ზე მეტი დიამეტრისაა 18 ძირი:
   - 2 ძირი (N 22, N 24) ბალი - Prunus avium;
   - 3 ძირი (N 20, N 25, N 26) ბროწეული - Punica granatum;
   - 2 ძირი (N 10, N 33) კარალიოკი - Diospyros kaki;
   - 1 ძირი (N 27) კომში - Cydonia;
   - 1 ძირი (N 7) ლეღვი - Ficus carica;

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

- 1 ძირი (N 6) მსხალი - Pyrus;
- 1 ძირი (N 9) მუშმალა - Eriobothrja japolica;
- 3 ძირი (N 1, N 12, N 28) ტყემალი - Prúnus cerasiféra;
- 1 ძირი (N 30) ქლიავი - Prunus domestica;
- 1 ძირი (N 8) შინდი - cornus mas l;
- 2 ძირი (N 15, N 35) ჭერამი - Prunus armeniaca.

იხ. ცხრილი N 1.

აღრიცხული 35 ნომერი ხე–მცენარიდან:

1. *ხმოგადია* 2 ძირი ხე–მცენარე, კერძოდ :
   - 1 ძირი (N 20) ბროწეული - Punica granatum;
   - 1 ძირი (N 28) ტყემალი - Prúnus cerasiféra.

   იხ. ლაბორატორიული დასკვნა. (დანართი N 1)

2. *ზეხმელია* 2 ძირი ხე-მცენარე, კერძოდ:
   - 1 ძირი (N 12) ტყემალი - Prúnus cerasiféra;
   - 1 ძირი (N 22) ბალი - Prunus avium.

3. *ჯანსაღია* 31 ნომერი ხე–მცენარე, მათ შორის ჯგუფებად მდგომი ხე-მცენარე 3 ნომერი და ერთეულად მდგომი ხე-მცენარე 28 ძირი.

ერთეულად მდგომი ჯანსაღი 28 ძირი ხე–მცენარიდან 18 ძირი ხილ-კენკროვანი სახეობისაა, ხოლო 10 ძირი ხე-მცენარიდან 25 სმ–ზე ნაკლები დიამეტრისაა 6 ძირი:

- 1 ძირი (N 31) ამერიკული ნეკერჩხალი - Acer negundo;
- 1 ძირი (N 34) წყავი - Prúnus laurocérasus;
- 2 ძირი (N 14, N 23) დაფნა - Laurus nobilis;
- 2 ძირი (N 3, N 4) კოლხური ბზა - Buxus colchica.

მათი გადარგვა შესაძლებელია და რეკომენდირებულია იხელმძღვანელოთ თანდართული გადარგვის მეთოდოლოგიით.

25 სმ–ზე მეტი დიამეტრისაა 4 ძირი:

- 2 ძირი (N 5, N 13) ხურმა - Diospyros lotus;
- 1 ძირი (N 17) დაფნა - Laurus nobilis;
- 1 ძირი (N 16) კაკლის ხე - Juglans regia.

25 სმ–ზე დიდი დიამეტრის ხე–მცენარეები ითვლებიან დიდტანოვან ეგზემპლარებად და მათი გადარგვა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით.

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

პატარა ზომის ხეების გადარგვის მეთოდოლოგია

დიამეტრით 25 სმ-მდე

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

ხე–მცენარის ამოღება და დარგვა

1. გადარგვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით - სპეციალური სარგავი მანქანით. ხელით დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს ორის მეთოდით: ნიადაგის გუნდით (კომით) და შიშველფესვიანი ნერგებით.
2. ხის გადარგვას მიწის კომით გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, რაც უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს მიწის გუნდაში მოთავსებულ ფესვთა სისტემის დაცვაში, რომელიც არ ზიანდება და რჩება თითქმის ხელშეუხებელ მდგომარეობაში. თუმცა ყველაფერი ეს იმ შემთხვევაშია გარანტირებული თუ გადარგვის პროცესში მიწის გუნდაში არ შეიქმნება არასასურველი რყევები, რაც გამოიწვევს ფესვების დაგლეჯვას, მათგან ნიადაგის მოშორებას.
3. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; მცენარეების ნერგებს უნდა ქონდეთ „მიწის გუნდა“, მიწის დიამეტრით არა ნაკლებ ხის სიმაღლის 1/5-სა , სიღრმით - არა ნაკლებ 1/6-ისა.
4. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
5. სასურველია ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
6. იმ შემთხვევაში თუ მოხდა ხე–მცენარის კომის გარეშე გადარგვა ორმოს ადგილზე ამოიღებული ორმოს სიღრმე და დიამეტრი უნდა იქნას ამოღებული ნერგის ფესვების სიგრძისა და გარშემოწერილობის პარამეტრების შესაბამისად. ნერგების ორმოში დარგვის წინ უნდა შეიკვეცოს ფესვები, სასურველია ამოივლოს წუნწუხში და ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით დარჩეს.
7. ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).
8. კომით გადარგვის შემთხვევაში და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; უკომოდ გადარგვის შემთხვევაში ორმოში ჩარგული ნერგის ფესვები უნდა გასწორდეს და მიეყაროს პირველი ბარის პირით ამოღებული მიწა. ფესვებზე მიყრილი მიწა თანდათანობით უნდა მიეტკეპნოს, შემდეგ ორმო უნდა ამოივსოს მეორე ბარის პირით ამოღებული მიწით;
9. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

10. სასურველია ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
11. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან; მცირე ზომის ნერგი შეიძლება აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი)..
12. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. მოვლის ღონისძიებები დარგვიდან პირველი 3 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს. პირველ წელს სისტემატიურად უნდა ხდებოდეს ხეების ირგვლივ ჯამების გამარგვლა - გაფხვიერება და მორწყვა. ერთ მორწყვაზე, თითოეული ხისათვის იხარჯება 10 სათლი (ვედრო) წყალი. მშრალ ამინდში ირწყვება, დეკადის განმავლობაში ერთჯერადად. ყოველდღიურად, დაწვიმებით ირწყვება ხის/ბუჩქების ვარჯი (დილით ან საღამოთი).
2. მოვლის ღონისძიებაა მავნებლების-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა. ხეების მოვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ხის ვარჯის ფორმირება. ხის დეკორატიულობა დამოკიდებულია არა მარტო ყვავილისა და ფოთლების სილამაზეზე, არამედ საღ და კარგად ფორმირებულ ვარჯზე.
3. ხის ფორმირება ახალგაზრდობისას საჭიროა ინტესიურად, სიბერეში კი - ხეს აჭრიან ხმელ ტოტებს ან აახაგაზრდავებენ მთელ ვარჯს. ფაქტიურად, გამწვანებაში, ნარგავების მოვლა მიმდინარეობს სიცოცხლის მანძილზე.
4. წიწვოვანი ხეების ვარჯის ფორმირებას არ აწარმოებენ საერთოდ. ხის და ბუჩქების მოვლა გამოიხატება: ხეების გაახალგაზრდავებაში, ფოთოლმცვენი ბუჩქების გაახალგაზრდავებაში, მარადმწვანე და ფოთლოვანი ბუჩქების ფორმირებაში, ბორდიურების კრეჭაში, ღეროებისა და ქერქების მოვლაში და ა.შ.
5. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე სასურველია განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა.

შენიშვნა: ზემოთ მოცემული მეთოდოლოგია შემუშავებულია პატარა ზომის 25 სმ–ზე ნაკლები დიამეტრის ხე–მცენარეებზე, ხოლო 25 სმ–ზე მეტი დიამეტრის ხე–მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია უნდა შემუშავდეს ინდივიდუალურად.

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ
შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი



ექსპერტი
დავით დიღმელაშვილი

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

საექსპერტო ლაბორატორიული დასკვნა

მწვანე ნარგავების დაავადებების კვლევაზე

დასკვნის ნომერი: N 07/071-ლ
დასკვნის გაცემის თარიღი:07.12.2023წ
კვლევის ჩატარების თარიღი: 02.12.2023წ
კვლევის ჩატარების მეთოდი: ლაბორატორიული.
მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ლიახვი, N 25
საკადასტრო კოდი: N 01.12.07.017.015
მესაკუთრე: შპს „რონიკო“ ID ნომერი:203836974
ლაბორატორიის მისამართი: ქ. თბილისი, ორხევი, ზ. დამენიას ქ. N 2, ”ოფისი“ მე–2 სართული) , შ.პ.ს „ბიოაგრო–მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი“.

ცხრილი N 1

რიგ N	ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	20	ბროწეული (Punica granatum)	14.3	5.5	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება
2	28	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	36.0	8.5	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება

2 ძირ ხე-მცენარეზე ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა, კერძოდ:

- 1 ძირი (N 20) **ბროწეული - Punica granatum;**
- 1 ძირი (N 28) **ტყემალი - Prúnus cerasiféra.**

ადგილზე შეგროვდა საკვლევი ფაქტობრივი მასალა (ქერქის ანათლები, ხმელი ტოტები, ნაღრღნი, აღებული იქნა ნიმუში პრესლერის ბურღით), რომლებიც დალუქული იქნა სპეციალურ კონტეინერში, გაუკეთდა წარწერა საკადასტრო კოდის და ხის ნომრის მითითებით და გასხნილი

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

იქნა შ.პ.ს „ბიოაგრო–მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი“-ს ლაბორატორიაში კვლევის ჩასატარებლად. (მისამართი: ქ. თბილისი, ორხევი, ზ. დამენიას ქ. N 2, ყოფილი თვალჭრელიძის ქუჩა ნაკვეთი 06/012, ”ოფისი“ მე–2 სართული). კვლევის დამთავრების შემდგომ მოხდა შესწავლილი ნიმუშების ხელახალი დალუქვა კონტეინერში, რომელიც ინახება შპს სილვა გრუპის ოფისში. (მისამართი: ქ.თბილისი ცოტნე დადიანის ქუჩა N 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, ოფისი 412 ბ).

დაავადებული ეგზემპლარის კვლევის შედეგი ეფუძნება ფაქტობრივი მასალის მიკროსკოპული ანალიზისა და იდენტიფიკაციის შედეგებს. მიკრო და მაკრომიცეტი სოკოები იდენტიფიცირებული იქნა მათი ნაყოფიანობის მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე, სტრუქტურულ - მორფოლოგიური (მიკრომორფოლოგიური) ნიშნების აღწერის მონაცემების მიხედვით სხვადასხვა მეთოდურ წყაროებზე დაყრდნობით (Хохряков, 1969, Метод,ы, 1974, Hawksworth, 1974). მიკროსკოპირებისათვის საჭირო პრეპარატები (ანათლები) მომზადდა სამართებლით, მოთავსდა ონკანის წყალში და გაისინჯა სინათლის მიკროსკოპით. სოკოს სახეობის იდენტიფიკაციისათვის გამოყენებული იქნა კლასიკური და თანამედროვე სარკვევები.

აღებული ნიმუშების და მიკრო და მაკრომიცეტი სოკოს მომწიფებული ნაყოფიანობის მქონე ნიმუშების იდენტიფიკაცია მოხდა მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე. კვლევის შედეგად გამოვლენილია რიგი მავნებლები და დაავადებები, რომელიც შესწავლილი და აღწერილია საექსპერტო დასკვნაში.

ლაბორატორიულ კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებული იქნა მავნებლების და სოკოების იდენტიფიკაციის კლასიკური მეთოდი, რომელიც ეფუძნება გარეგნული და სტრუქტურულ - მორფოლოგიური (მიკრომორ–ფოლოგიური) ნიშნების აღწერას (Shoemaker, 1964).

ლაბორატორიული კვლევის შედეგები

N 20 ბროწეული - Punica granatum მდგომარეობა - ხმობადი. სურო შემოხვეული, მრავალღეროიანია. ყველა ღერო დაზიანებული და დაავადებულია. მიმდინარეობს ქერქის შემოცლა. შემოცლილი ქერქის ქვეშ და ნახეთქ ჭრილობებში აღინიშნება წინა წლის მავნებლის ნაღრღნის გროვები და მაკრომიცეტი პათოგენი აბედა სოკოს ოჯახების - Telephoraceae და Polyporaceae წარმომადგენლები, რომელთა მიცელიუმი და სპორები შეჭრილია მერქანში. მისი ზემოქმედებით მიმდინარეობს ხის გულის დაშლა და სიდამპლე. წვრილი ტოტების 70% ხმელია და მტვრევადი.

დასკვნა: მცენარის დაზიანების და დაავადების ხარისხიდან გამომდინარე განკურნებას არ ექვემდებარება.

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

N 28 ტყემალი - Prúnus cerasifera მდგომარეობა - ხმობადი. სურო შემოხვეული, ღერო საკმაოდ დაზიანებულია მავნებლის - მერქიჭამიას და ბურტყლა ბუგრით გამოწვეული კერებით და ნაღრღნით, მათი ზემოქმედებით ღეროზე ნახეთქი ჭრილობებია, საიდანაც მიმდინარეობს წებოვანი გამონადენი, ანუ გომოზი მუქი ფერის წებოვანი მკვრივი მასით. კურკოვნებზე წებოს ასეთი დენა არის სოკოვანი დაავადების ციტოსპოროზის და ფიტოფტოროზის ნიშანი, რომლსაც იწვევს ნეკროტროფული პათოგენი სოკოები - Cytospora leucostoma და Phytophthora sp. ნაწილი ტოყების ხმელია, ნაწილი კი საღი, მაგრამ ღეროს დაზიანება და დაავადება გამოიწვევს საღი ტოტების ხმობას.

დასკვნა: მცენარისთვის ასეთი სიმპტომები დამღუპველია. რის გამოც განკურნებას არ ექვემდებარება.

შემსრულებელი: *დავით დიღმელაშვილი*
ექსპერტი

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

ხე-მცენარეების ხარისხობრივი შეფასების ამსახველი ფოტომასალა.

საკადასტრო კოდი:N 01.12.07.017.015;

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ლიახვი, N 25

by LLC “Forest Company”
























7




8








10




1
1








14


























20










23








25




216












29








3
1




32












35

